ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 26 სექტემბერი № 1593

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». **ტელეფონი № 372.**

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (ნ. 0—14)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის
კიოსკში
იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—2)

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.
ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
მ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

მევენახეთა და მებაღეთა კრების თავმჯდომარე უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ კრებაში, რომ ხსენებული კრება დაიწყება 14 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

კრების შესახებ ცნობების მისაღებად მსურველებმა უნდა მიჰმართონ: დილის 10 საათიდან 12-მდე გამოფენაზე, მიწად-მოქმედების განყოფილებაში, კრების საქმის მწარმოებელს ბ. ვიშნევსკის, ხოლო შემდეგ, 3 საათამდე—სამეურნეო საზოგადოების ბიუროში. (3—1)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყოროლანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

საიუბილეო დღესასწაული

გუშინ დილა ადრიან დაიწყო დიდძალი ხალხის მოძრაობა. ყველა მიეშურებოდა სიონის ტაძრისაკენ, სადაც დანიშნული იყო წირვა და პანაშვიდი. დიდძალ ხალხს თავი მოეყარა აგრეთვე მთავარ-მართებლის სასახლის წინ. მეცხრე საათზე იქვე მივიდა თავად-აზნაურთა საპატიო სადარაჯო ცხენოსანთა რაზმი. ცხრა საათზე სასახლიდან გამობრძანდნენ და ეტლებით გაემგზავრნენ სიონის ტაძრისაკენ უავგუსტოესი სტუმარნი და საპატიო პირნი. უავგუსტოეს სტუმართა ეტლებს გაჰყვა საპატიო რაზმი.

მეათე საათზე სიონის ტაძარში დაიწყო წირვა. მწირველნი ბრძანდებოდნენ საქართველოს ექზარხოსი ფლაბიანე, ეპისკოპოსები: იმერეთისა—ლეონიდე, გურია-სამეგრელოისა—ალექსანდრე, სოხუმისა—არსენი, კავკავისა—ვლადიმირი, არხიმანდრიტები და ქალაქის სამღვდელოება. წირვასა და შემდეგ პანაშვიდს დაესწრნენ: ელლინთა დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული უავგუსტოესის შვილებით, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და მეუღლე მისი დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული, ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლნი: ქართლ-კახეთისა—თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, იმერთა—თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე; სამაზრო მარშლები და თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი; რუსეთის გუბერნიების თავად-აზნაურთა ტფილისში ჩამოსულნი მარშლები; კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, გენ.-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი, გენ.-ლეიტენანტი თავ. მ. ქ. ამირეჯიბი და სხვა გენერლები; ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი და ამიერ კავკასიის თითქმის ყველა გუბერნიების მმართველნი; ტფილისის ქალაქის თავის მოადგილე ბ. შესტაკოვი, გამგეობის წევრები; ერევნისა და ყაზარლოს პოლკების აფიცრები და სხვა სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებულნი პირნი, აგრეთვე თავად-აზნაურთა და მოქალაქეთა საპატიო მანდილოსნები.

წირვაზე შემთხვევის შესაფერისი ქადაგება წარმოსთქვა მღვდელმა კალ. ცინცაძემ. წირვის დასრულების შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებულ გვირგვინოსანთა და საქართველოს კათალიკოს-ექსარხოსთა სულის მოსახსენებლად. მოიხსენიეს: იმპერატორები—პავლე პეტრეს ძე, ალექსანდრე პავლეს ძე, ნიკოლოოზ პავლეს ძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის ძე და ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, საქართველოს მეფე გიორგი ირაკლის ძე, ანტონ კათალიკოსი და გარდაცვალებულნი საქართველოს ექსარხოსები და ბრძოლაში დახოცილნი თავადნი, აზნაურნი და მეომარნი. ღვთის მსახურების დასრულების შემდეგ უავგუსტოესი პირნი სასახლეში დაბრუნდნენ.

ნაშუადღევს 3½ საათზე უავგუსტოესი სტუმრები ბრძანდებოდნენ საიუბილეო გამოფენაზე. იქ მათ მიეგებნენ კავკასიის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე უგანთ. თავ. პ. ა. გრუზინსკი, მისი ამხანაგი სულთან-კრიმ გირეი, გამოფენის კომისარი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და სხვები. უავგუსტოეს სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენის უმთავრესი პავილიონი; უფრო დაწვრილებით—საუფლისწულო მამულების ექსპონატები, მეღვინეობისა, პროფესიონალური, მხატვრობა-მწერლობისა ხელოსნობის განყოფილებანი. ახსნასა და ცნობებს აწვდიდნენ უმთავრესი კომისარი თავ. ანდრონიკაშვილი, განყოფილებათა გამგენი და სპეციალისტები. უავგუსტოეს სტუმართა ყურადღება მიიქცია სეტყვიან ღრუბლის გამფანტველ ზარბაზანმა, რომელიც იქვე იყო გამოცდილი. სამიწად-მოქმედო განყოფილებაში პ. ბ. კავსაძისა და კარგარეთელის ქართულმა ხორომ აღასრულა ქართული სიმღერები; მეაბრეშუმეობის განყოფილებაში მღეროდა რუსული ხორო, ხოლო სამანქანო განყოფილებაში სომხური ხორო.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ უავგუსტოესი სტუმრები შებრძანდნენ მათთვის საგანგებოდ დამზადებულს მისაღებ ოთახში, სადაც ჩაი მიირთვეს. 4¾ საათზე უავგუსტოეს პირთ დასტოვეს გამოფენის ტერიტორია და მთავარ-მართებლის სასახლეში წაბრძანდნენ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

24 სექტემბერი

ბერლინი. 22 სექტემბერს, საღამოს, გამოცხადდა, რომ ბირჟაზე გამოცემულ იქმნა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის 4%-იანი ობლიგაციები 32,460,000 მარკისა; ობლიგაციები თავისუფალნი არიან სახელმწიფო გადასახადისაგან. ხელის მოწერა დაიწყება 27 სექტემბერს. ობლიგაციების კურსი გერმანიაში 96 პროცენტია.

ბუენოს აირესი. 23 სექტემბერს დეკანოზმა იზრაზცოვმა აკურთხა მართლ-მადიდებელთა ეკლესია. კურთხევას დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი როკა, მინისტრები და დიპლომატთა კორპუსი.

კონსტანტინეპოლი. საფრანგეთის რწმუნებულმა გადასცა მთავრობას ნოტა, რომლით საფრანგეთის მთავრობა უარჰყოფს ოსმალეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ ლორანდოს 185 ათას გირვანქით ნაკლები მიეცეს და თხოულობს უთუოდ 345 ათასი გირვანქა უზღონ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. «სიეკლ»-ს სწერენ ლონდონიდან: თუ სამხრეთ-აფრიკაში ბევრი მაშველი ჯარის გაგზავნა დასჭირდა, მაშინ მთავრობა შემოდგომაზე დროებით შეჰკრებს პარლამენტსაო. ფინანსთა მინისტრი ამას წინად ერთ კრებაზე სთქვა: თუ ოშს ახალი ხარჯი დასჭირდა, სამინისტრო პარლამენტს შეჰკრებსო. ამას გარდა მთავრობას სწადიან პარლამენტის მუდმივი სესსიაც 1902 წელს დანიშნულ ვადაზე ადრე დაიწყოს, რადგანაც მომავალ ივნისში მეფე ედუარდ VII გვირგვინის კურთხევა მოხდება მოხდება და პარლატები ამის გამო იძულებულნი იქნებიან თავიანთ მოქმედებას შეაჩერონ.

✿ გაზეთებმა ასჯერ გაავრცელეს ხმა, კიტჩენერი იცვლებაო. მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა. კიტჩენერი ისევ სამხრეთ-აფრიკაშია, ისევ ის დიდ ჯაპან-წუვეტაშია. გულ-ქვავი კაცი უნდა იყვეს, რომ ინგლისის მთავარ-სარდალი არ შეებრალოს. ცალკე ბურებმა გაუჭირეს საქმე, ცალკე თურმე ინგლისის მთავრობამ. «დეილი ნიუს»-ი სწერს:

«ათასა წინააღმდეგი დაწერონ, მაინც ჩვენ ისევ ვიტყვით, რომ კიტჩენერსა და სამხედრო სამინისტროს დიდი განხეთქილება მოუვიდათ. დიდი ხანია რაც ეს უთანხმოება მოსდით. კიტჩენერი მეტად მედგარი ხასიათის, მხნე, გაბედული და განჭრიახე კაცია და უოველთვის სწყინდა, რომ მთავრობა ათასნაირ დაბრკოლებას უჩენდა მის მოქმედებას. მთავარ-სარდალი ჩივის: მთავრობა ყურს არ უგდებს ჩემ თხოვნას, უხეირო ჟვარგისს ჯარებს მიგზავნისო, ეს ჯარები ხათაბალად მეხდებიანო და საუკეთესო სარდლები სამხრეთ აფრიკიდან მიჰყავთო; თუ მთავრობა ამას იქითაც ასე მოიქცა, მთავარ-სარდლად ვეღარ დავრჩებიო. რამწამს მეფე ედუარდ VII ეგროპიდან დაბრუნდა, მაშინვე მინისტრების საბჭო შეკრიბა და ლორდ კიტჩენერის საქმეზე მოელაპარაკათ. ამბობენ, მისმა უდიდებულესობამ ძლიერ თავი გამოიდო ლორდ კიტჩენერისათვის და მეტად მედგარი იერიში მიიტანა ყველა მინისტრებზე და ნამეტნავად ბროდრიკზეო. მეფემ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხათ: რას აპირებთ, რის გარიგება გწადიანთო. მეფემ ნამეტნავად ახალი ჯარების მოგროვების თაობაზე ილაპარაკა ბევრი. ჩვენ არ ვიცით, რა გადასწყვიტა მინისტრების საბჭომ, მაგრამ იმას კი ვიტყვით, თუ კიტჩენერი თავის ადგილს დარჩება, უნდა მოველოდეთ, რომ სამხრეთ-აფრიკაში დიდი ამბები და ძლიერი სამხედრო მოქმედება დაიწყება».

ავსტრ-უნგრეთი. მლადოჩეხები და რადიკალი-ჩეხები ამნაირად მორიგებულან: 4 საარ-

ეროვნული

ჩვენი ოლქში მლადოჩეხების ამომრჩევლები რადიკალ დეპუტატებს მოემხრობიან, დანარჩენ ოლქებში კი რადიკალები მიემხრობიან მლადოჩეხების კანდიდატებს.

საფრანგეთი. ახალი კანონის ძალით, ბერების არც ერთ კრებულს არა აქვს უფლება რაიმე ახალი საქმე დაიწყოს, თუ მთავრობისაგან ნებართვა არ აიღო. მთავრობის აზრით, რაც კი ბერებს ნება დაურთველად სკოლები გაუხსნიათ, უნდა მოისპოს, ან არა და ბერებმა ყოველი სკოლისთვის ცალკე ნებართვა უნდა აიღონ. თუ ეს კანონი მართლაც ამნაირად შესრულდა, მაშინ ცუდი დღე დაადგებათ ბერების სკოლებს. 1886 წლიდან დაწყებული, სახელმწიფო საბჭო თითქმის მუდამ უარს ეუბნებოდა ბერებს, როცა სკოლის დაარსების ნებას ჰსთხოვდენ ხოლმე; ალბად, ამას იქითაც ასე მოხდება, და ამიტომ ბერების სკოლებს ცუდი ბედი მოელის. ყველა კლერიკალური და ნაციონალისტური გაზეთი მკაცრად ჰკიცხავს ამაზე მთავრობას.

✡ შარშან ბძანებული ირან-თურანის, სპარსეთის ყეენი მუზაფერ-ედინ-შაჰი პარიზში ბრძანდებოდა. ყეენი დიდის სიამოვნებით ათვალიერებდა მთელი ქვეყნიერობის დედა ქალაქს, მაგრამ ეს სიამოვნება მთლად ჩაამწარა ანარქისტმა სალსუმ. როცა ყეენი ეტლით ქუჩაში დასეირნობდა, სალსუ დაეცა ყეენს და მოკვლა დაუპირა, თან მიაძახა: «გაწყდეს ყველა მტარვალები, გაქრეს მათი ხსენება, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს ანარქიას!» მაგრამ პოლიციამ მალე შეასწრო თვალი სალსუს და ყეენი დიდ განსაცდელს გადაარჩინეს. ყეენმა დასწყევლა ევროპა, დაჰგმო იქაური ავიც და კარგიც, ჰკრა თავი და საჩქაროდ ისევ თავის კურთხეულ ირან-თურანში დაბრუნდა, ისევ თავის ჰარამხანაში მოიკალათა. ეს საქმე სასამართლომ გაარჩია და სალსუ «ცხონების კუნძულზე» სამუდამოდ კატორღაში გაგზავნა საცხონებლად. ეხლა გაზეთებს შეუტყვიათ, სალსუ გარდაცვლილა.

✡ შრომის საბჭოების წევრთა არჩევანი თითქმის დასრულდა. 60,000 კაპიტალისტს სულ 462 სინდიკატი აქვთ დაარსებული. ამ სინდიკატებს 6000 ხმის უფლება აქვთ. არჩევანში მარტო 92 სინდიკატმა მიიღო მონაწილეობა. ეს 92 სინდიკატი 28,000 კაპიტალისტის წარმომადგენელია და სულ 2,800 ხმის უფლება ჰქონდათ. 120,000 მუშას 487 სინდიკატი აქვს დაარსებული და 5000 ხმის უფლება აქვს. მუშების სინდიკატთაგან არჩევანში მარტო 210 სინდიკატმა მიიღო მონაწილეობა. ეს 210 სინდიკატი 80,000 მუშის წარმომადგენელია და 3,300 ხმის უფლება ჰქონდათ. როგორც ვხედავთ ამომრჩეველთა უმეტესობას არ მიუღია მონაწილეობა არჩევანში. მაგრამ არჩევნისათვის არაა საჭირო, რომ კანდიდატმა კენჭის აბსოლიუტიური რიცხვი მიიღოს, ან უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, არაა საჭირო, რომ არჩეული წევრმა უსათუოდ გათეთრდეს; ოღონდ თავის მოწინააღმდეგეზე მეტი თეთრი კენჭი კი მიიღოს და არჩეულად ითვლება. ამიტომ თუმცა ბევრმა მონაწილეობა არ მიიღო, არჩევანი მაინც მოხდა. შრომის საბჭოს 29 განყოფილება უნდა აერჩიათ: ამ რიცხვიდან 20 ამოურჩევიათ კიდეც.

ბელგია. «ტაიმს»-ს ამ ნაირი დეპეშა მოსვლია ლიეჟიდან (იგივე ლიუტიხი): 29 სექტემბერს ღამით მუშების დასმა კრება მოახდინა და გადასწყვიტა, საყოველთაო გაფიცვა მოვახდინოთო. ეს გაფიცვა 30 სექტემბერს უნდა დაიწყოს. კრებას 100-მდე დელეგატი დაესწრო. ესენი 10,500 მენახშირე მუშის წარმომადგენელნი იყვნენ. კრებაზე მეტად მშფოთიანი კამათი გაიმართა.

შვეიცარია. მუშების საერთა-შორისო დამცველმა საზოგადოებამ 14 სექტემბერს ქალაქ ბაზელში კონგრესი მოახდინა. პირველ კრებას 39 დელეგატი დაესწრო: 9 გერმანიიდან, 5 ავსტრიიდან, 3 ბელგიიდან, 5 საფრანგეთიდან, 4 იტალიიდან, 6 ჰოლანდიიდან, 7 შვეიცარიიდან. ოფიციალური წარმომადგენლები მარტო საფრანგეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის და იტალიის მთავრობას გამოეგზავნათ. შაბათის კრებას იმაზე ჰქონდა ბჭობა, თუ შრომის ბიურო დავაწესოთ და მისი მოქმედების საგანი აღვნიშნოთო. კრებამ დაადგინა: ამ ბიუროს მოქმედებას წმინდა მეცნიერული ხასიათი უნდა ჰქონდესო. გარდა სხვა-და-სხვა წიგნების გამოცემისა და ცნობების შეკრებისა, საბჭოს დაევალება: გამოიკვლიოს, თუ რომელ ქვეყანაში რამდენს ამუშავებენ დედაკაცებს ქარხნებში ღამით და რა შედეგი მოჰყვა ღამ-ღამობით შრომის აკრძალვას; დაწვრილებითი სტატისტიკა შეადგინოს, თუ სხვა-და-სხვა ქვეყნებში რა ზარალი მოსდით და რამდენი მუშა შავდება უბედურ შემთხვევისაგან. გამოიკვლიოს მრეწველობის რომელი დარგია მუშების ჯანმრთელობისათვის მავნებელი და მეტადრე დიდი ყურადღებით უნდა გამოიკვლიოს ის საქმეები, სადაც ტყვიისაგან დამზადებულ წამლებსა და თეთრს ფოსფორს ხმარობენ.

შეერთებული შტატები. გაზეთები იუწყებიან: რ-ტა რუზველტი ეპისტოლეს მისწერს კონგრესს, ძლიერ ბეჯითად მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტი გაძლიერდესო; ისეთი ფლოტი უნდა გვქონიოთ, რომ უცხო სახელმწიფოებმა ფიქრადაც ვეღარ იფიქრონ ჩვენთან ბრძოლაო.

✡ გაზეთებს შეუტყვიათ, ვიდრე კონგრესი შეიკრიბება, რუზველტი შეერთებულ შტატებში იმოგზაურებსო. ახალი პრეზიდენტი ჩიკაგოს, სენ-ლუის, ცინცინატის და სხვა ქალაქებს მოივლისო.

სამხრეთ აფრიკა. გაზეთები სწერენ: ტრანსვაალის ვიცე-პრეზიდენტმა შალკ-ბურგერმა ზავი სთხოვა ლორდ კიტჩენერს, კიტჩენერმა უპასუხა: «ინგლისელებსაც სწადიანთ ზავი, მაგრამ თითონ ბურებმა ასტეხეს ეს ომი. რომ ამისთანა ხიფათი კვლავ აღარ გადაჰხდეს, ინგლისმა ორანჟეს და ტრანსვაალის რესპუბლიკები თავის სამფლობელოს შეუერთა. რესპუბლიკების მოქალაქეთაგან ბევრმა დაიჯერა ინგლისის დაპირება და ამიტომ ჩვენს მხარეს გადმოვიდა. ინგლისიც არ გაუმტყუნდებათ, თავის სიტყვას უთუოდ შეასრულებს: არასდროს და არავის ნებას არ მისცემს, რომ სამხრეთ-აფრიკაში ომი ასტეხონ. თქვენ თხოულობით, აჯანყებულ კაპელ მცხოვრებლებს ეპატიოსო. ბურების მთავრობა კი მოწყალედ ექცეოდა? ვინც კი უღალატა, ყველა სასამართლოში მისცა და თოფით დახვრიტა. პატიება — ინგლისის ხელშია და ამ უფლებას ვერავინ ვერ ჩამოართმევსო.

ახალი ამბავი

✦ კვირას, 30 სექტემბერს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება სადღესასწაულო **საიუბილეო სხდომა** სამეურნეო საზოგადოების წევრთა.

✦ კავკასიის **მევენახეობისა და მეღვინეობის** მოღვაწეთა კრება დაინიშნა 14 ოქტომბრისათვის.

✦ მკითხველებს ეხსომება, რომ მოსკოვის **არხეოლოგიური საზოგადოების** თავმჯდომარის, გრაფ. უვაროვის თაოსნობით, ტფილისში განზრახულია ხსენებულ საზოგადოების განყოფილების დაარსება. ახლა, როგორც იტყობინებიან, უმაღლეს მთავრობას კიდეც დაუმტკიცებია განყოფილების წესდება ცოტაოდენის შეცვლით.

✦ საერო განათლების სამინისტროში მალე შეუდგებიან **დაბალ სასწავლებლების პროგრამების გადასინჯვას**. განხილულ იქნება პროგრამები სახალხო პირველ-დაწყებით, საქალაქო და სხვა დაბალ სკოლებისა.

✦ საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ ტფილისში **სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი** კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდან; სახელდობრ: ტფ. მაზრიდან—156 კაცი, თიონეთისა—80, თელავისა—104, სიღნაღისა—135. ქუთაისის გუბერნიიდან—200-მდე და სხვა.

✦ სათანადო მთავრობამ უკვე შეადგინა პროექტი ტფილისის **რკინის გზის სასწავლებლის** გადაკეთების შესახებ. გადაკეთება დაჯდება 30 ათასი მანეთი.

✦ ამ დღეებში ტეხნიკურ სასწავლებელთა საოლქო ინსპექტორმა მოახდინა ტფილისის რკინის გზის სასწავლებლის რევიზია.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა უბნის ბოქაულთ ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური, რომ **კვირა დღეებში** მაღაზიებში **ვაჭრობა არ იყოს**. ის ვაჭრები, რომელნიც ამ განკარგულებას არ აასრულებენ, პასუხისგებაში უნდა იქმნენ მიცემულნი.

✦ დღეს, დილის 9 საათზე, მებაღეთა კრების წევრნი დაათვალიერებენ ტფილისის **ბოტანიკურ ბაღსა**.

✦ გუშინ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის სადგომში ნ. ი. პაშკოვსკიმ აუხსნა მებაღეთა კრებას **აცეტილენით** ბუნდოვანი სურათების ფანრის განათება. როგორც მკითხველებმა იციან, ბუნდოვან სურათებიან ფანრის განათება ნავთით ძლიერ ძნელია და უხერხულია. ბ. პაშკოვსკის მიერ შემოღებულ საშუალებით-კი თითქმის ყველა სურათები ძლიერ კარგადა სჩანს. მთელ ორ საათის განათება ფარნისა ეღირება ერთი აბაზი: ბუნდოვან სურათების ფანარი მის მოწყობილებით ეღირება არა უმეტეს 80 მანეთისა. შეიძლება კიდევ ძალიან ადვილად ფანარში აცეტილენით განათების მოწყობა, რომელიც ეღირება 20—25 მანეთამდე.

✦ როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის** საზოგადო კრებამ გარდასწყვიტა არტელის ქარხანაში მოსწავლე ბავშვებს, მუშაობის შემდეგ, წერა-კითხვა ასწავლონ ხოლმე. ამ დღეებში არტელის გამგეობის თავმჯდომარემ განცხადება წარუდგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, ბ-ნ ზავადსკის, რომ ნება დაერთოს არტე-

ფელეტონი

საზოგადოება და მისი განვითარება

> ადამიანი მატერიაა და არ შეუძლიან თავის დაუსჯელად არაფრად ჩააგდოს მატერია. იგი ცხოველია და არ შეუძლიან მოსპოს თავის ცხოველობა.
>
> M.—B. („Lettres aux compagnons de Iura").

IV*)

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ეგრედ წოდებული მეორე დიდი სოციალური შრომის განაწილება იყო საფუძველი ქალაქისა და სოფლის აღორძინებისა. ეს იყო მიწის მუშაობისა და ხელობათა ერთი-ერთმანეთისაგან განშორება. ენგელსი ამბობს: ბარბარიზმის მეორე საფეხურიდამ დაწყებული, როდესაც მეჯოგეობა გამოეყო წარმოების სხვა დარგებს, პირდაპირი „უშუამდგომლო პროგრესი მიგვითითებს ჩვენ ბარბარიზმის უმაღლესს ხარისხზედ, იმ პერიოდზედ, როდამდისაც ყველა კულტურული ხალხები აღწევს მათი გმირული (heroique) ხანის გავლის შემდეგ: ეს უმაღლესი საფეხური ბარბარიზმისა არის ხანა რკინის ხმლისა, მაგრამ ამასთანავე რკინის ნაჯახის და რკინის სახნისისა. კაცი რკინის შეძენით გახდა ბატონი უკანასკნელისა და უუსაჰიროესის იმ პირველ ნივთთაგან, რომელთაც ისტორიაში რევოლიუციონური როლი ჰქონდათ. რკინამ შესაძლებლად გაჰხადა მიწის მუშაობა დიდ სივრცეზედ, თვალ-გადუწვდენელი ტყეების გაკაფვა; მან მისცა მუშას ისეთი მაგარი და ბასრი იარაღი, რომ ვერავითარი ქვა, ვერავითარი მაშინდელი დროის სხვა ლითონი ვერ გაუწევდა მას წინააღმდეგობას„. აი ამ რკინის ნახვამ და იარაღად გამოყენებამ, ენგელსის აზრით, გაართულა წარმოება, დაჰბადა მრავალგვარი დარგი წარმოებისა, გაჰყო მიწის მუშაობა სხვა წარმოების დარგებიდან, რომლებიც ერთ ადგილას დაბინავდნენ; ეს ადგილი იყო მომავალი ქალაქი. „ქალაქი, ამბობს ენგელსი, რომელსაც ჰქონდა თავისი კოშკები, ქალაქის კედლებს შიგნით მომწყვდეული, აგრეთვე აგურისა და ქვის სახლები, შეიქნა აცენტრალური ადგილი თემისა ან თემთა კონფედერაციისა... სიმდიდრე სწრაფად გაიზარდა, მაგრამ ამ სიმდიდრეს პიროვნული ფორმა ჰქონდა. ქსოვა, ლითონთა შემუშავება და სხვა ხელობები, რომლებიც თანდა-თან სპეციალურ ხასიათს იღებდენ, ამრავალფეროვანებდენ და სწრაფად აუმჯობესებდენ წარმოებას. მიწის მუშაობა აწარმოებდა თესლსა, მწვანილსა, ხილის გარდა, მეტ ზეთსა და ღვინოს, რომელთა მომზადებაც შესწავლილი ჰქონდათ. ამგვარად გამრავალფეროვანებული მუშაობის შესრულება აღარ შეეძლო ერთსა და იმავე ინდივიდს, მეორე დიდი სოციალური შრომის განაწილება მოხდა, ხელობა გამოეყო მიწის მუშაობას". (L'origine de la famille, de la propriètè privèe et de l'Etat. —pp. 260—261 — tradiction française par N. Ravè G. Carrè èditeur, Paris 1893) ამ ხელობებმა დაიბუდეს ქალაქში, ქალაქი გახდა უმთავრესი ადგილი, სადაც მარტო სხვა-და-სხვა ხელობას ეწეოდენ და არა მიწის მუშაობას.

საშუალო საუკუნოებში ქალაქი მეორე მხარე იყო ფეოდალური წარმოების წესისა. ქალაქის აღორძინება, განვითარება, მიზეზად გახდა შემდეგში ფეოდალიზმის დანგრევისა. — ქალაქში იგივე ბატონყმობა მეფობდა დასაწყისში, როგორც სოფელში, მხოლოდ რამოდენიმეთი ჰქონდა ქალაქს სოფელზე უპირატესობა, რადგანაც ქალაქის წევრები უფრო მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებული, ვიდრე სოფლის; ამასთანავე ქალაქის ექსპლოატაცია ბატონთაგან ცოტა უფროდაფარული იყო, ვიდრე სოფელში. მოქალაქე ყმა იყო თავისი ბატონისა, რომელიც სოფელშიც სცხოვრობდა. და ქალაქშიდაც, ყმა იყო ეკკლესიისა, რომელიც თვით ქალაქში დაფარფაშობდა; ყმა იყო სახელმწიფოსი, რომლის წარმომადგენელი, მეფე, აგრეთვე ქალაქში იყო დაბუდებული. თუ სოფლელი გლეხი მიწის მუშა ყმა იყო, მოქალაქე სამაგიეროდ ინდუსტრიალური ყმა იყო თავისი ბატონისა.

ყველა კატეგორიის ყმა ვალდებული იყო თავისი შრომის ნაყოფის უმეტესი ნაწილი ეძლია ბატონისათვის, ე. ი. თავად-აზნაურობისათვის, სამღვდელოებისათვის, სახელმწიფოსათვის. წარმოება ზედ-მეტი ღირებულებისა მიწის მუშაობის დარგში თვალსაჩინო იყო, რადგანაც ყმა პიროვნულად იყო დამოკიდებული ბატონისაგან, განსაზღვრულ დროს თავისთვის მუშაობდა განსაზღვრულს ბატონისათვის. ქალაქის ექსპლოტაცია უფრო დაფარული იყო რამოდენიმე მხრით, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმ უსირცხვილო, დაუფარავ ექსპლოატაციის გარდა, რომელიც სოფლელს სულს ართმევდა, ქალაქში ეგრედ წოდებული შეგირდთა ექსპლოატაცია, დაფარული და დამახინჯებული, კიდევ ზედ-მეტს წარმოადგენდა. შეგირდი ვითომ სასწავლებლად იყო მიბარებული ოსტატთან, რომელიც მას თავის ხელოვნებას ასწავლიდა, მაგრამ სწავლების გარდა მის შრომასაც შეუბრალებლად სწუწნიდა: რამოდენიმე წლის შემდეგ შეგირდი თვით ხდებოდა (სხვა-და-სხვა ხარისხის გავლის შემდეგ) ოსტატად, საწარმოო საშუალებათა პატრონად, რის შემდეგ მას თვით შეეძლო შეგირდების ყოლა და მათი ექსპლოატაცია. ოსტატის ხელობა მამიდამ შვილზედ გადადიოდა, რომ ერთხელვე შემდგარ მემამულეთა და საზოგადოდ ქალაქის მტერთა ორგანიზაციის წინააღმდეგ ქალაქს ყოველთვის ჰქონოდა საბრძოლველი ძალა. ქალაქის წევრები შეკავშირებული იყო ურთი-ერთ შორის რთული შრომის განაწილებით, წარმოების ცალ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1590.

ლის გამგეობას საზოგადო კრების მინდობილება განახორციელოს.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, 7 ოქტომბერს ტფილისში გაიხსნება **სამხატვრო სკოლა**.

✦ **ბაქო-საბუნჩის** რკინის გზის შტოსთვის, როგორც გვატყობინებენ, მოკლე ხანში უნდა შეიძინონ 30 სამგზავრო მატარებელი. ეს მომატება გამოიწვია ამ გზაზე მგზავრთა მიმოსვლის მეტად გაძლიერებამ. არ იქნება ურიგო, მთელ ჩვენ რკინის გზაზედაც მოუმატონ ვაგონები, რადგან ეხლანდელი რიცხვი ვაგონებისა სრულიად საკმარისი არ არის.

✦ რკინის გზების მმართველობის განკარგულებით, **საბუნჩის სადგურის გადაკეთება** შეჩერებულ იქმნა, რადგან განზრახულია ამ სადგურის გადატანა კიალბალის ტბისაკენ.

✦ ორშაბათს, 24 სექტემბერს, ტფილისის კომერციულ სასწავლებელში გაიმართა **ლიტერატურული დილა** საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეის აღსანიშნავად.

✦ „მოსკ. ვედომოსტ.“-ს სიტყვით, კავკასიაში დაარსდა **შაქრის მექარხნეთა** სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც ერთი მილიონი მან. თანხა ჰქონია საქმის საწარმოებლად. საზოგადოების წესდება მთავრობას უკვე დაუმტკიცებია.

✦ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ, 24 სექტემბერს, საქონლის მატარებელმა №-78, ბაქოდან მეხუთე ვერსტზე, გასრისა ლიანდაგზე მიმავალი ქერბალაი-მაჰმედ ბაბა-ოღლი.

კავკასიის გამოფენა

IV

თევზეულობის განყოფილება

სამიწად-მოქმედო იარაღებისა და მანქანების განყოფილებიდან პირდაპირი გზაა თევზეულობის განყოფილებაში. თევზის მრეწველობა ჩვენში უფრო კასპიის ზღვის მხარესაა გავრცელებული. აქეთკენაა დიდი ვაჭრობაც თევზეულობითა. მთავრობის დაწესებულება, ეგრედ წოდებული „გამგეობა კავკასიის აქეთა მხრის აღმოსავლეთ წყლებში მეთევზეობისა“—ის დაწესებულებაა, რომელიც განაგებს ამ მხრის თევზის წარმოების საქმეს. ჩვენს გამოფენაზე ამ გამგეობას თვალსაჩინო ადგილი დაუჭერია: მთელი შუა ადგილი განყოფილებისა ამ გამგეობის ექსპონატებითაა სავსე—უფრო სხვა და სხვა მოდელებითა, მაგალითად: ნავებისა, თევზის საჭერი ყოველ-გვარი იარაღისა თევზის მოსაშენებელი ქარხნებისა და სხვ., აქვეა ფოტოგრაფიული სურათები მთელის მრეწველობისა და თევზის ჭერისა.

ი. ე. ფითოევისა და ამხ. ფირმა ხომ დიდი ხანია სახელ-განთქმულია ჩვენს მხარეს თევზის მრეწველობითა. აღმოსავლეთ წყლებში ყველაზედ უფრო დიდი მწარმოებელი ეს ფირმაა და გამოფენის მნახველიც ადვილად დარწმუნდება ამაში, როცა ნახავს, რამდენ ნაირ თევზსა და თევზის მასალას ამზადებს იგი. გარდა ყოველგვარი სათევზო იარაღებისა, აქა ბლომად წარმოდგენილია საუცხოვო ნიმუშები თევზეულობისა, ბოქკებში ლამაზად ჩალაგებული, ხიზილალა, თევზის წებო და სხვ. ნავების და ზღვაში სათევზოდ სახმარებელ გემების მოდელები, ქარხნების მოდელები, ტანთ და ფეხთ საცმელი მეთევზეთა, ფოტოგრაფიული სურათები ზედ მეტიც—ყველა ესენი მნახველს ცხადად უჩვენებს ბ-ნ ფითოევის და ამხ. თევზის მრეწველობის მდგომარეობასა.

შესანიშნავია შამაიას დასაჭერი აბრეშუმის ბადე.

ბ-ნ ფითოევის გვერდით, კედელთან, ქვის ლამაზი აუზია გაკეთებული კასპიის მხარის ცოცხალი თევზების მოსათავსებლად.

ბოჟი პრომისლიდან (სალიანის ახლოს, ლენქორანის მაზრა) ექსპონენტები არიან ბ.ბ. მარტირუზოვი, აბაზოვი და მაილოვი; წარმოდგენილი აქვთ აგრეთვე თევზეულობა, ხიზილალა და სათევზაო სხვა-და-სხვა იარაღი.

ლამაზად გამართულია ტიკებზე ტივი, ტივზე ლელწამისაგან აგებული მეთევზის ფაცხა; აქვეა სათევზაო იარაღებიც. ასეთ ფაცხას მდინარე მტკვრის მეთევზეები იკეთებენ თურმე.

ტივის გვერდით ნამდვილი ნავია გამართული, რომელსაც ადგილობრივ „ბუდარა“-ს ეძახიან. ნავი ისეა მოწყობილი იალქნებით და სხვა იარაღებით, თითქოს ეხლავე ზღვაში გასვლას აპირებსო. ამ გვარის ნავით კასპის ზღვაში თევზაობენ, მაგრამ ძალიან შორს არ მიდიან—ამისათვის სხვა გემსა ხმარობენ.

თევზის ვაჭარს ბ-ნ ქამოევსაც (ტფილისში) თავის თევზეულობა და სხვა-და-სხვა სათევზაო იარაღები აქვს გამოფენილი.

გოკჩის ტბაში სახმარებელი იარაღების მოდელებიცაა აქ გამოფენილი. ზევით, ჭერს ქვეშ, გადაშლილია ვეებერთელა ბადე, რომელიც მთლად ერთიანად ჰფარავს მთელს განყოფილებას. ჩვენ გვითხრეს, ეს ბადე 140 საჟენიაო სიგრძით.

განყოფილების გამგე მ. ი.-ძე დოლუხანოვია.

—მე

* *

გამოფენის ადმინისტრაციამ ნება დართო საიუნკრო სასწავლებლის იუნკრებს 2 ოქტომბრიდან 4 დღის განმავლობაში მუქთად დაათვალიერონ გამოფენა; ხოლო ჯარის-კაცთ სამშაბათობით და პარასკევ დღეებში ნება ექნებათ დაათვალიერონ გამოფენა ერთი შაურის გადახდით.

ბ. გელეიშვილს

ბ. გელეიშვილმა ორი საყვედური გამომიცხადა «ცნობ. ფურც.» № 1588-ში. პირველი ის, რომ მე ერთ ჩემს წერილში, დაბეჭდილს «მოამბის» მე-VIII №-ში, მოვიყვანე ბ. გელეიშვილის წერილი, რუსულ გაზეთის "Сѣв. Кур.»-ში დასტამბული 1900 წ. და იმ გაზეთის ნომერი კი, სადაც დაიბეჭდა ეს წერილი, არ დავასახელე. მეორე საყვედური ის არის, რომ მე გამოვამჟღავნე ავტორის ფსევდონიმი. წერილს აწერდა ხელს —გ...შვილი. მე კი ჩემს წერილში გელეიშვილი დავასახელე სრულად.

ორივე ამ «დანაშაულობას» ვიღებ ჩემს თავზე, ხოლო არც პირველი და არც მეორე „დანაშაულობა ბოროტ განზრახვით არ მომივიდა. საქმე იმაშია, რომ ბ. გელეიშვილის წერილი ხელში არ მქონდა, როცა ვწერდი ჩემს წერილს. გაზეთის ნომერი არ დამამახსოვნდა და არც ის, რომ წერილს გ...შვილი აწერდა.

ლიტერატურულ «მართებულობის» და «ეთიკის» აღსადგენად და ბ. გელეიშვილის დასაკმაყოფილებლად, თავდაპირველად, ბოდიშს ვიხდი ბ. გელეიშვილის წინაშე და ვსთხოვ, შემატყობინოს ნომერი ზემოხსენებულ გაზეთისა და მე ამ ნომერს მკითხველების საყურადღებოდ მომავალ თვის «მოამბე»-ში გამოვაქვეყნებ. რაიცა შეეხება ფსევდონიმის გამომჟღავნებას, ამის შესწორება, სამწუხაროდ, ჩემს ხელში არ არის. უნდა კი ვსთქვა, რომ მე, პირად, მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ არსებულ სალიტერატურო «ეთიკის» მოთხოვნილებას. და, სხვათა შორის, ეს არის მიზეზი, რომ მეტის ყურადღებით არ მოვეკიდე ამ «ეთიკის» ხელუხლებლობის დაცვას.

არჩილ ჯორჯაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

«ივერიის» 202 ნომერში დაბეჭდილია დუტუ მეგრელის წერილი რედაქციის მიმართ ჩემს მოწინავე სტატიის «ჩვენი თეატრი»-ს შესახებ. ამ წერილმა გაგვაოცა თავის «უაზრო და უადგილო» წვრილმანებით და ავადმყოფურ სიამაყით ავტორის თხზულების ღირსების შესახებ.

ბატონი დუტუ მეგრელი ჯერ ბრძანებს, რომ მან გაუგზავნა თავისი დრამატიული პოემა «მწირი სარდალი» ერთ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრს და სთხოვა «გადაეცა იგი განსახილველად მთელი გამგეობისათვის, რომელსაც, თუ ღირსად სცნობდა, უნდა შეეძინა იგი სცენაზე დასადგმელად» და შემდეგ თითონვე ჯავრობს «დრამატიულ საზოგადოების წიგნთ-საცავში რად გაჩნდა ჩემი პოემაო». მაშ სად უნდა შეენახა გამგეობას? უბეში ხომ არ ატარებდა მთელი გამგეობა პატივცემულ ავტორის პოემას! ერთმა გამგეობის წევრმა წარუდგინა გამგეობას ეს პოემა და დანარჩენნი წევრნი, წაკითხვის შემდეგ, უბრუნებდნენ მას შესანახად წიგნთ-საცავში; ამ გვარად ჩვენც წამოვიღეთ ბ-ნ დუტუ მეგრელის პოემა, თუმცა, როგორც ის ბრძანებს სამართლიანად: «მე დეკანოზიშვილისთვის არ გამიგზავნიაო». ჩვენ გვნანობთ, რომ ამ გვარ უაზრო წვრილმანების ახსნას ვუნდებით. «არ უნდა გაჩენილიყო იგი (პოემა) წიგნთ-საცავში და უკანვე უნდა გამოგზავნილიყო ჩემთან; მით უმეტეს არავითარი მსჯელობასა და კრიტიკას გაზეთის ფურცლებზე მის შესახებ ადგილი არ უნდა ჰქონოდა!» სწერს ბ-ნი დუტუ მეგრელი. ჩვენს მოწინავე წერილში, «ცნობის ფურცლის» მე-1572 ნომერში, დუტუ მეგრელის პოემისათვის არავითარი განსაკუთრებული კრიტიკა არ გაგვიკეთებია და გავუკეთებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროდ დავინახავთ, თუმცა ბ-ნ დუტუ მეგრელს ძალიან სურს, რომ მის პიესას განსხვავებითი ყურადღება მივაქციოთ, რადგან სწერს: «ცალკე გაარჩიოს იგი (ჩემი პოემა) და სწორედ მაშინ, თუ ავასრულეთ პატივცემულ ავტორის სურვილი, იგი დაინახავს თავის პოემაში «ლომხალსაც და ლომხლის ბეჭამანდსაც.»

მოწინავე წერილში ჩვენ გვსურდა მხოლოდ დაგვესახა საზოგადოთ, რა გვარად სწერდნენ ეხლანდელი დრამატიული მწერლები, რა გვარია დრამატიული ესტეტიკა ეხლანდელ ქარ-

---

ცალკე დარგთა წარმომადგენელთა ორგანიზაცია შეადგენდა კორპორაციას. როდესაც რამე შიში მოელოდა ქალაქს, მაშინ ეს კორპორაციები ერთად იყვნენ საერთო მტრის მოსაგერებლად.

თავისი ორგანიზაციის შემწეობით ქალაქმა მეტი ძალა მოიპოვა სოფელზედ. ამიტომ მიწის მომუშავე ყმა ყოველთვის ცდილობდა როგორმე, თუ ბატონს თავს დააღწევდა, ქალაქში ეპოვა თავ-შესაფარი. ქალაქში ზოგი ხელობას სწავლობდა და შემდეგ თვით ხდებოდა ბურჟუად, ზოგიც დღიურ მუშად იყო, თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდა თავს.

საშუალო საუკუნოების წარმოება რომ განვიხილოთ მთლად, ეს ერთი რაღაც საზიზღარი, საშიშარი და უზარ-მაზარი მექანიზმია წამებისა, მუდმივი, აუტანელი ცარცვა-გლეჯისა, შეუბრალებელი ექსპლოატაციისა, დაუსრულებელი შრომისა, რომელიც გაღატაკებულ გლეხისა და თან და თან განვითარების გზაზედ დამდგარ მოქალაქის კისერზედ იყო დატანილი მძიმე რკინის უღლად.

გლეხის ნაწარმოები ზედ-მეტი ღირებულება გამოიხატებოდა პირად სამსახურში, მიწის მუშაობის ნაყოფთა ზიდვაში ბატონის სასარგებლოდ და მებრვე. ქალაქში ნაწარმოები ზედ-მეტი ღირებულება იყო საქონელი, რომლის ექვივალენტიც იყო ფული. გლეხების გაღატაკებამ სწორედ მაშინ მიაღწია უმწვერვალეს ხარისხამდე, როცა მათგან ნაწარმოებმა ზედ-მეტმა ღირებულებამ მიიღო ფულის ფორმა, რადგანაც თვით გლეხის ნაწარმოებმა მიიღო საქონლის ფორმა, ქალაქის განვითარების გავლენით.

მაგრამ როდესაც გლეხის ნაწარმოებმა ზედ-მეტმა ღირებულებამ ფულის ფორმა მიიღო, ჩარჩი—ფულის პატრონი, ვაჭარი, აი ეს ახალი ბატონები, რომლებიც ყველა სხვა ბატონებზე უფრო შეუბრალებლად ყვლეფდენ გლეხებს და საზოგადოდ ვისაც ხელში ჩაიგდებდენ. საქონელთა წარმოების განვითარებამ შექმნა ფულის საჭიროება მწარმოებლისათვის, ამან კი დაბადა საჩარჩო კაპიტალი, რომელმაც ათასნაირ ქსელში გაება მწარმოებლიც და მუქთა მჭამელიც ერთად და დააჩქარა მათი შეტაკება.

მრავალ-გვარი იყო საშუალო საუკუნოებში წარმოებათა განწყობილებები, მრავალ გვარი იყო აგრეთვე ფორმები ექსპლოატაციისა, მაშასადამე ფორმები ზედ მეტი ღირებულებისა. უკანასკნელს ჰქონდა ხან პირადი სამსახურის ფორმა, აგრეთვე ნაწარმოების პირდაპირი გაყოფის ფორმა (ყმასა და ბატონს შუა), ე. ი. იგი წარმოების პროცესსიდამ პირდაპირ ხმარების პროცესსში გადადიოდა, ხან იგი წარმოების პროცესსიდამ ბრუნვის პროცესსში გადადიოდა და ამგვარად საქონლის ფორმას იღებდა, ხან მის ფულადი გადასახადის ფორმას იღებდა, ხან კიდევ „კაპიტალზე“ „პროცენტის“ ფორმას. ეს „კაპიტალი“ იყო ფული, საჩარჩო კაპიტალი, რომელიც შორეულ საუკუნოებიდამ არსებობდა, როდესაც კი იყო განვითარებული საქონლის წარმოება და მათი ფულთან დაპირდაპირება, როგორც საქონელთა საყოველთაო ექვივალენტთან, მაშასადამე როდესაც კი იყო ფულის საჭიროება. ეს საჩარჩო კაპიტალი წინამორბედი იყო საშუალო საუკუნოებში თანამედროვე კაპიტალური წარმოების წესისა... მაგრამ საშუალო საუკუნოებში განსაკუთრებითი ხასიათი ზედ მეტი ღირებულების წარმოებისა იყო მისი აშკარაობა, მისი უსირცხვილობა, მისი ის საერთო ხასიათი, მისი საფუძველი უკეთ ვსთქვათ, რომ არას დროს არ შეიძლება ზედ-მეტი ღირებულების წარმოება, თუ საზოგადოებაში არ არსებობს ავტორიტეტი, ერთი ჯგუფისაგან მეორეს დამონავება. ზედ-მეტი ღირებულება არ იქმნება გარეშე წარმოებისა, მაშასადამე მისი არსებობა წარმოების პროცესსში მაჩვენებელია მონობისა, ადამიანის სიმხეცისა, რომელიც საუბედუროდ დიდ განვითარებათ მიაჩნიათ კაპიტალიზმის ადვოკატებს.

ისტორია იმ საზოგადოებისა, რომელიც კლასსებად არის დაყოფილი, ამ კლასსთა შორის ბრძოლაა. კლასსების არსებობა განსაზღვრულ საზოგადოებაში უსათუოდ იგულისხმებს იმგვარ წარმოებით განწყობილებებს, სადაც ზედ-მეტი ღირებულება წარმოვდება. როგორც მესამე წერილში უკვე მოვიხსენიეთ, ის წარმოების წესი, რომელიც ექსპლუატაციაზეა დამყარებული, ავია, ცუდია, გარდამავალი. ამგვარ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს კლასსთა ბრძოლა...

ეს ბრძოლა იმაზე იყო დამყარებული, თუ ვის მეტი ნაწილი უნდა რგებოდა ხალხის ნაღლეტ-ნაცარცვისა. მათგან ვინც უფრო შორს მჭვრეტელი იყო და ნათლად ხედავდა რომ ამა თუ იმ რევოლიუციონურ ელემენტთან კავშირის დაჭერა მისთვის სასარგებლოა, ის მაშინვე მიემხრობოდა მას და თავის მოწინააღმდეგეს დაუწყებდა ბრძოლას. საფრანგეთში მეფე ხშირად იყო ქალაქების მომხრე, როცა თავად-აზნაურობა მეფესაც აწუხებდა და ქალაქებსაც. ინგლისში თავად-აზნაურობა ქალაქებს ემხრობოდა, როცა მეფის წინააღმდეგ იყო ბრძოლა და სხვ. ყოველივე ამგვარი ბრძოლების მოტივი ავტორიტეტის მქონეთა შორის მხოლოდ მწარმოებელის ნაწარმოებზედ ცილობა იყო და სხვა არაფერი. სუმმა იმ სხვა-და-სხვა ფორმის ზედ-მეტ ღირებულებათა, რომელსაც მწარმოებელი კლასები აწარმოებდა, მუქთა მჭამელთა მუცელში ჩადიოდა. მაგრამ ეს მუქთა მჭამელები ძაღლებივით ჰგლეჯდენ პირიდან ერთმანეთს მუქთად ნაშოვნ ლუკმას.—აი ამაზედ ტრიალობდა მთელი მათი ბრძოლის ისტორია...

Un Camarade.

(შემდეგი იქნება)

თუ ორიგინალურ ლიტერატურაში, რა გამოსადეგნი არიან ეხლანდელი პიესები თეატრისათვის, რად ჩივიან ორიგინალურ პიესების უვარგისობაზე. ამის ასასრულებლად ვისარგებლეთ, როგორც მასალით, მრავალ სხვა-და-სხვა ორიგინალურ პიესებით და არავითარ «ცილის წამებას» ამაში არ ვხედავთ და, თუ ვინმე ამ გვარ მსჯელობას «უაზროთ» ჩასთვლის და ყოველიფერს თავის თავს მიაწერს,—ეგ ჩვენი ბრალი არ გახლავთ. მხოლოდ, ჩვენ გვგონებთ, ყოველ ავტორს იმდონად უნდა ჰქონდეს ყველგან მიღებული თავდაბლობა, რომ თვითონ ნაკლები ილაპარაკოს თავის თხზულების შესახებ.

გიორგი დეკანოზიშვილი.

რედაქტორი ალ. შეონაძე.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 21 სექტემბრის

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
არიზზე „	37,45
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 ⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	347 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	250 გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	89⅛ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	90 „
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოთ. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბსჩითახოვისა, ავადმყოფი უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1901 წლის, 2 ოქტომბერს, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა ქუჩის ნაპირების მოკირწყვლა: 1) არსენალის გზა-ტკეცილზე, 800 ოთხ კუთხი საჟენზე; 2) ლაზარევის ქუჩაზე, 300 ოთხ-კუთხ საჟენზე; 3) კახეთის გზა-ტკეცილზე, 800 ოთხ-კუთხ საჟენზე; 4) რკინის გზის ლიანდაგიდან კატეროვისა და ანტონიევის ქუჩების კუთხემდე, 315 ოთხ-კუთხ საჟენზე; სულ მუშაობა 5500 მანათისაა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აუწყებს მცხოვრებთ, რომ 20-ს ნოემბერს ამა 1901 წელს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიყიდება უძრავი მამული, კუთვნილება მიხეილ გაიკაზოვის ობლებისა; ეს უძრავი მამული არის ერთ ნაკვეთად და მდებარეობს ფოთის ქალაქის დიდ კუნძულზე № 48, ისტომინის ქუჩაზე, სივრცით 150 კვ. საჟ.; ამ ადგილზე აგებულია ხუთოთახიანი ქვის სახლი, გადახურული თუნუქის სახურავით, ამავე სახლზე მიშენებულია ხის შენობა ოთხი ოთახიანი, კრამიტით გადახურული. ყველა ეს მამული იყიდება ქალაქის ხვედრ უძრავ მამულებისაგან შემოსავალ გადასახადის და სახელმწიფო ხარჯის შესავსებლად, რომელთა რაოდენობა 484 მანეთს და 85 კაპ. შეადგენს. (ნ. 3—3)

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 20 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა ქალია ლამბაროვის მამულის გასაყიდათ; სახელდობრ გასასყიდია: 1) ხის მაღაზია (რომელიც აღებულ უნდა იქნას) ქალაქისაგან იჯარით აღებულ მიწაზე აგებული, შვიდ განყოფილებისაგან შემდგარი, რკინის სახურავით, მდ. რიონის ნაპირზე; 2) ხის მაღაზია რკინის სახურავით, აგებული ვახრამოვისაგან იჯარით აღებულ მიწაზე, სამ განყოფილებისაგან შემდგარი; 3) ერთი ნაჭერი მიწა, ლევაშოვის ქუჩაზე, ზომით 260 ოთხ-კუთხი საჟ; 4) ერთი ნაჭერი მიწა გუნიბის ქუჩაზე, № 53, ზომით 770 ოთხ-კუთხი საჟ., რომელზედაც ხის სახლია ყავრით გადახურული. მამული უნდა გაიყიდოს საქალაქო და სახაზინო გადასახადების ვალის გასასტუმრებლად. (3—5)

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუქით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად.	ფასი	2 40
ბრძოლები, დრამა 3 მოქ.	„	— 30
ივდითი, დრამა 5 მოქმედ.	„	— 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ.	„	— 50

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—4)

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

გერის მოედანზე, ყაფანთან.

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი**.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (0—3)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლის“-ს ნომრები. ფასი ფითო ნომრისა 3 კაპეიკი.

ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისაგან

იყიდება საჯარო ვაჭრობით ტფილისის პოლიციის პირველ ნაწილში, ვერაზე, ჯვართან, საქართველოს სამხედრო გზის გვერდით მდებარე ადგილი ერთ-სართულიან სახლიანად ზომით 3058.5 ოთხკ. საჟ. მოედნისა და ფერდობი ადგილისა—2897 ოთხკ. საჟ. ვაჭრობაში მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც დახურულ პაკეტებით განცხადებას წარუდგენენ სემინარიის მთავრობას. განცხადებებში უნდა აღნიშნულ იქმნეს ფულის რიცხვი არა ნაკლებ 67,067 მან. და აგრეთვე განცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ ბედ 6700 მან. ადგილის გეგმა და დაწვრილებითი პირობები ვაჭრობისა შეიძლება განხილულ იქმნეს ყოველ დღე, უქმე დღეებს გარდა, სემინარიის, სამმართველოს კანცელარიაში დილის 9 საათიდან, დღის 12 საათამდე. განცხადებები გახსნილ იქმნებიან 12 საათზე 1901 წ. 16 ოქტომბერს სემინარიის მმართველობის სხდომაზე. (3—6—2)

საავადმყოფო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე.

ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—48)

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ. „Фармацевтика“

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.